№ 273
ხუთშაბათი, 17 დეკემბერი 1893

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

# ივერია

№ 273
ხუთშაბათი, 17 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად:**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზიბეგის

ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის სამკურნალოს ნიშიდამ კვირას, დილის 9 საათზე და მიასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში, საცა წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ და იქიდამ წაასვენებენ ვერის გზით სოფ. სტეფან-წმინდას.

---

## „ივერია"

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სამოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

---

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

---

ორშაბათს, 20 დეკემბერს, **ტფილისის სობრანიაში** დანიშნულია

## კონცერტი

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

კონცერტის შემდეგ

## ბალი

დაწვრილებით აფიშაში იქმნება გამოცხადებული.

ბილეთების სყიდვა შეიძლება წერა-კითხვის კანცელარიაში და სობრანიაში.

---

ტფილისი, 17 დეკემბერს

—

ამ მეცხრამეტე საუკუნეში განათლებულმა ევროპამ სრულიად შეიცვალა თვისი აზრი სასჯელის მნიშვნელობის შესახებ დ დამნაშავეს, ბრალდებულს დღეს იმ თვალით აღარ უყურებს, როგორც ყანაში ამოსულს ღვარძლს, რომელსაც სრულიად ამოგდება დ განადგურება სჭირია. ეხლა დამტკიცება აღარ უნდა და ყველასაგან ჭეშმარიტებად არის აღიარებული ის აზრი, რომ თუ ყანა ღვარძლს იძლევა, ამაში იმდენად თვით ღვარძლს არა აქვს დანაშაული, რამდენადაც ნიადაგს, რომელშიაც ღვარძლს ფესვი უდგას და რომლითაც იგი იკვებება. აშკარაა ასევე, რომ დამნაშავენი, ბრალდებულნი თავისის ქვეყნის შვილნი არიან, თვით საზოგადოების წეს-წყობილების წყალობით დანაშაულის გზას დამდგარნი და ცხოვრების ვითარების ხელით შექმნილნი.

გადაჰხედეთ დანაშაულის სტატისტიკას და დარწმუნდებით, რომ ყოველ წლივ უცნაურის დაჟინებითა და თანასწორობით განმეორდება ხოლმე მკვლელობა, ქურდობა და სხვა დანაშაული, რაიც აშკარად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ამ დანაშაულში დიდი ნაწილი თვით საზოგადოებას უდევს და ცხოვრების ამა თუ იმ წესწყობილებას. ეს ნაკლი და სატკივარი თვით ცხოვრების გულშია დამარხული და ბრალდებულნი მხოლოდ უბედურნი, შემთხვევითნი მსხვერპლნი არიან ამ უკუღმართობისა.

შესანიშნავი მწერალი ჰჱრდერი თავისის თხზულების ერთს ალაგას ამბობს, ვინც დანაშაულის განხილვის დროს იმის გამომწვევ მიზეზს არ ჩაუკვირდება, ის მხოლოდ ნახევრად დაინახავს დანაშაულს; ხოლო ვინც დანაშაულის სათავესა და დასაბამშიაც ჩაიხედავს, იმას გრძნობა რისხვისა სიბრალულის გრძნობად შეეცვლებაო. დიაღ, კაცობრიობის აზროვნობის საუკეთესო წარმომადგენლებმა უკვე აღიარეს, რომ ბრალდებულნი და დამნაშავენი მხოლოდ შებრალების ღირსნი არიან და იმათს ტანჯვა-წამებას-კი არ უნდა სცდილობდეს მართლ-მსაჯულება, არამედ გაადამიანებას, ხასიათის გასწორებასა და ცხოვრებისათვის გამოსადეგ და საჭირო კაცად გარდაქმნასაო.

ამ აზრით საპატიმროებში კაცილებით გააუმჯობესეს პატიმართა ცხოვრება, რიგიანის საზრდოს ძლევა დაუწყეს, სხვა-და-სხვა ხელობას ასწავლიან, სასწავლებლებს აარსებენ, ლექციებს უკითხავენ და სხ. ასეთსავე გზას დაადგა ამ ბოლოს დროს რუსეთი და ყოველ საპატიმროსთან განსაკუთრებული კომიტეტი დაარსდა საპატიო კაცთაგან, რომელსაც დავალებული აქვს ზრუნვა იქონიოს საპატიმროთა განკარგებისა და პატიმართა მოქცევისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენში ამ კომიტეტების მოქმედება და მოღვაწეობა ბნელითა და წყვდიადით არის მოცული: მათ შესახებ არა იბეჭდება-რა გაზეთებში—რას აპირებენ, რა აზრისანი არიან, რა დაუნახავთ სამჯობინაროდ და საკეთილოდ და სხ. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, მაშინ საზოგადოებას შეძლება მიეცემოდა თვალ-ყური ედევნებინა იმათის მოქმედებისათვის და თავისი აზრი და შეხედულობაც განეზიარებინა ამ კომიტეტთათვის. ამითი თუ არა გაკეთდებოდა-რა, არა დაშავდებოდა-რა. საზოგადოებას ეცოდინებოდა თვის ცთომილ და გზა-დაბნეულ შვილთა მდგომარეობა, ეცოდინებოდა, რა გვარს ზრუნვას იჩენს ეს გულშემატკივარი დაწესებულება და თუ ან ბედნიერი აზრი მოუვიდოდა, ან ნახული და გაგონილი ექმნებოდა რამ, გაუზიარებდა და ამით კომიტეტსაც გაუადვილებდა საქმეს. ათასი რამ წვრილმანია, რომელიც შეიძლება შორს მდგომმა უფრო ჩქარა შენიშნოს და დაინახოს, ვიდრე ახლოს მყოფმა.

მაგალითებრ, აქამდე უკმაყოფილების გრძნობა ებადება ხოლმე ადამიანს, როდესაც ქუჩაზედ, თოვლსა და ტალახში, დაინახავს ბორკილ გაყრილს პატიმარს, დარაჯებ შემორტყმულს. პატიმარნი ხან გამომძიებელთან მიჰყავთ, ხან სასამართლოში და ამ დროს მთელს ქალაქში უნდა აატარონ, ხალხის თითის საჩვენებელი და სასეირო გაჰხადონ და თვით პატიმარსაც ასეთის დამცირების, დაცინვის ატანით გული უფრო გაუკაჟონ და გაუქვავონ, გრძნობა ადამიანთა მტრობისა უფრო განუძლიერონ. ვისთვის და რისთვის არის ეს საჭირო? რა სარგებლობა და სიკეთე მოაქვს, ზარალისა და ვნების მეტი? რა ლმობიერების და სინანულის გრძნობის აღძვრა შეუძლიან ადამიანის გულში ასეთს წესს?!

ეხლა უკვე უარ-ყოფილია დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაც-კი საქვეყნოდ, საჯაროდ, რადგან უკვე დარწმუნდნენ, რომ ეს დიდის ზარითა და ზეიმით ჩამორჩობა ადამიანისა საზოგადოებას სიბრალულის გრძნობას უქვავებს და თვით დამნაშავეთაც არ უღვიძებს გულში სინანულს,

ევროპის კარგად მოწყობილს ქალაქებში ყოველ საპატიმროსთან დახურული ეტლები არსებობს, რომლითაც დაჰყავთ პატიმრები, სადაც-კი საჭიროა იმათი წაყვან-წამოყვანა. საზოგადოება მარტო ეტლსა ჰხედავს და პატიმარი საცქერელი და საკვირვებელი არა ჰხდება. ასეთი ეტლები კიდევ იმითია კარგი, რომ პეტიმარს საშუალება ეკარგება მართლ-მსაჯულებას გაექცეს, რომლის შედეგიც ან იმისი სიკვდილია, ან მისი გადაკარგვა სადმე და გავარდნა საავაზაკოდ და სათარეშოდ. რამდენჯერ მომხდარა ტფილისსა და ქუთაისში, რომ პატიმართ გაქცევა მოენდომოთ, დარაჯებს უსროლიათ თოფი და იქავე შეუბრალებლად მოუკლავთ. საპატიმრო ეტლი-კი ისეა მოწყობილი, რომ ჩასვამენ თუ არა შიგ პატიმარს, კარები იკეტება და პატიმარი დამწყვდეულია შიგ.

კარგი იქნება, რომ ჩვენთა საპატიმროთა კომიტეტებსაც მიებაძნათ ამ ყოვლად საჭირო და მოსაწონ მაგალითებისათვის და გაეჩინათ საპატიმრო ეტლები.

ფარნაოზი

---

# ფელეტონი

## საბიბლიოგრაფიო წერილი

ჩვენებური საქმის ბოლო—მოთხრობა ანტონ ფურცელაძისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი 1893 წ.

ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის, ვიდრე ქართული ლიტერატურა ხელობად შეიქმნებოდეს და ვიდრე მწერლობის მიმდევარი კაცი, როგორც ხელოსანი, შეიძლებდეს თავის ხელობით ლუკმა პურის შოვნას და თავის რჩენას. მწერლობის აღორძინება და გაძლიერება-კი მხოლოდ მაშინ დამყარდება მტკიცე საფუძველზედ, როდესაც მას ეყოლება შესაფერი რაზმი სათანადოთ დამზადებულ ხელოსნებისა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, აღმოჩნდებიან ნიჭის პატრონებიც. მანამდე-კი, სამწუხაროდ, ქართულ მწერლობას ასაზრდოებენ თითქმის მხოლოდ ისეთნი კაცნი, რომელნიც ცხოვრების სახსარს ჰპოულობენ სრულებით გარეშე ლიტერატურისა, სხვა-და-სხვა პროფესიებში.

როდესაც გავიხსენებთ, რომ ქართველ ინტელიგენტისთვის განსაკუთრებით გაძნელებულია ლუკმა-პურის შოვნა და რომ ამ შოვნას უნდება უკეთესი დრო მისი და გამუდმებული მეცადინეობა, მაშინ აღარავის გააკვირვებს ის აზრი, რომ საზოგადოდ ჩვენი კაცი ძნელად-ღა იცლის სამწერლოდ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მწერლისთვის და მეტადრე მის ნაწერისთვის. ყოვლად შეუძლებელია, რომ ღირსება ქართველის მწერლის დღევანდელ ნაწარმოებისა იმ სიმაღლეზედ იდგეს, რომელსაც უეჭველად მიაღწევდა იგი, უკეთუ ქართველი მწერალი გაინთავისუფლებდა თავს ყველა სხვა საქმისაგან, უმთავრეს საქმედ გარდიქმნიდა სამშობლო მწერლობას და მოეკიდებოდა მხოლოდ მას მთელის თავისის ძალითა და ღონით.

რაკი მწერლობა ჯერ არ შექმნილა ჩვენში ხელობად, ამის გამო ძრიელ ცოტანიც ეტანებიან მას ისეთი კაცები, რომელთაც აქვთ უნარი შრომისა, სწავლისა და აზროვნობისა. უმეტეს ნაწილად ქართული რედაქციები მობეზრებულ არიან ისეთ მწერლებით, რომელთაც უძნელდებათ გაარჩიონ „ანიდამ" „ბანი" და რომელთათვისაც უმაღლეს საგანს თავ-მოყვარეობისას და ამაყობისას შეადგენს მარტო ისა, რომ თავიანთი სახელი და გვარი დაინახონ გაზეთის თუ ჟურნალის ფურცლებზედ, წერილის ქვეშ დაბეჭდილი.

ამისთანა გარემოებაში თვით მწერლობის არსებობაც-კი დიდს ეჭვშია, არა თუ ახლა მისი წარმატება და გაძლიერება. და თუ მაინცა და მაინც არსებობს ასეთს უკუღმართ გარემოებაში ქართული ლიტერატურა, აქ ჩვენი საზოგადოება მადრიელი უნდა იყოს მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანისა, რომელთაც შერჩენიათ იმოდენა ძალა სულისა, ისეთი სიყვარული სამშობლო სიტყვიერებისა, რომ თავიანთი თავისუფალი დრო, ლუკმა-პურის ძიებას გადარჩენილი, შეუწირავთ მსხვერპლად ქართულ მწერლობისათვის და ამასთანავე არა თუ სასყიდელი არა მიუღიათ-რა, არამედ პირ-იქით თავიანთ სალიტერატურო შრომაზედ კიდევაც დაუყრიათ სახარჯო ფული საკუთარის შეძლებიდგან.

აი ამ მწერალთა განსაკუთრებულს გუნდს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული ანტონ ფურცელაძეც, რომელიც აგერ ოც-და-ათი წელიწადია უსასყიდლოდ იღწვის სამშობლო მწერლობის მოედანზედ და რომელსაც ეკუთვნის ზემოხსენებული მოთხრობა „ჩვენებური საქმის ბოლო". გარნა ვიდრე თვით მოთხრობის განხილვას შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვით მის ავტორზედ, რომ უფრო გავიადვილოთ ამ მოთხრობის ღირსებისა და ნაკლის გაგება და დაფასება.

ქართველმა მკითხველმა იცის, რომ ბ-ნი ანტონ ფურცელაძე ავტორია არა თუ მარტო მოთხრობებისა, არამედ გალექსილ პოემებისაც, ლირიკულ ლექსებისა, ისტორიულ გამოკვლევებისა, დრამისა, კრიტიკულ შენიშვნებისა, მრავალ საპუბლიცისტო და სამეცნიერო წერილებისა და მებრვე სხვათა. რითი უნდა აიხსნას ასეთი სხვადასხვაობა ერთისა და იმავე მწერლის ნამოქმედარისა? იმითი, ბატონებო, რომ უსასყიდლო შრომას ბევრნი ვერა კისრულობენ და ვინც ასეთს შრომაში ჩაებმება, ბ-ნ ანტონ ფურცელაძისებრ, იგი იძულებულია პოეტიც იყოს, ბელეტრისტიც, ისტორიკოსიც, კრიტიკოსიც, პუბლიცისტიც, არხეოლოგიც და სხვანი, ამიტომ რომ აქაც კაცია საჭირო, იქაც და ყველგან-კი ერთმა ან ორმა ადამიანმა უნდა იცეს თავში ქვა, რადგან დამხმარებელი არავინ არის. კიდევ კარგი, თუ მოღვაწემ, საქმეში ჩაბმამდე, მიიღო საფუძვლიანი და ყოველ მხრივი განათლება, ამასთანავე თუ მას შესწევს ბუნებითი ჭკუა და

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ს. შერემეტევი 10 დეკემბერს საღამოთი საგანგებო მატარებლით მოსკოვიდგან პეტერბურგს გაემგზავრა.

*** 16 დეკემბერს ჩვენს სათავადაზნაურო ბანკში დანიშნული იყო იმ სოფლის მამულების გაყიდვა, რომელთ პატრონებმა არ შეიტანეს ხვედრი ფული ვალისა. გაყიდვამდე დახსნილ იქმნა გამოცხადებული მამულები სულ ერთიანად სამს მამულს გარდა. ეს სამი მამული დარჩა 16 დეკემბრისათვის გასასყიდად და სულ გაიყიდა.

*** იუსტიციის მინისტრმა წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს თავის მოხსენება, რომლის ძალითაც პირველ ხარისხის ვალად ჩაითვლება და მაშასადამე სრულად უნდა იქმნას გარდახდილი: ქალაქის გარდასახადი, სახელმწიფო მმართველობათა ვალები და აგრედვე ყოველ გვარი ვალი, რომელიც აღებულია თამასუქითა და უძრავ მამულის დაგირავებით.

*** ახალის კანონ-პროექტის ძალით სავალდებულო იქმნება, რომ თითოეულ ხალხის მატარებელს მისდევდეს თითო ფერშალი და აგრედვე მატარებელში უექველად იყოს განყოფილება იმათთვის, თუ ვინიცობაა მატარებელში უცბად ავად გახდავინმე.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

უმორჩილესად ვთხოვ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მიმიღოს თავის წევრად. უკეთუ ჩემი წევრად მიღება არ ინებოს საზოგადო კრილობამ, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას ვთხოვ მოიხმაროს რაიმე საქველმოქმედო საქმისათვის ჩემ მიერ ამ წერილთან წარმოგზავნილი ექვსი მანეთი.

ოზურგეთის სას. სასწ. მასწავლებელი
ტ. ქიქინაძე

*** ტფილისის მეაფთიაქები სთხოვენ მთავრობას, ზოგიერთა წამლებზე ძველი ფასი დარჩეს, რადგანაც ჩვენ უფრო ძვირად გვიჯდება ამ წამლების ყიდვა, ვიდრე დანიშნულია ფასით.

*** უმთავრესის სამხედრო სასამართლოს პროკურორმა ამ დღეებში დეპეშით მოითხოვა პეტერბურგში გასასინჯად რკინის გზაზე კონდუქტორად ნამყოფი ქიქოძის საქმე, რომელსაც კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ ჩამორჩობა გადაუწყვიტა ჟანდარმის მოკვლის გამო.

*** უმართებულესმა სენატმა განმარტა, ებრაელ ჯარის კაცთა შვილებს, რომლებიც დასახლებულან იმ ადგილებში, სადაც დანარჩენ ებრაელთ მუდმივი ცხოვრების ნება არა აქვთ და ეს ნება მხოლოდ ებრაელ ჯარის კაცთა შვილებს ეძლევათ, სრული უფლება აქვთ ამ ადგილებში უძრავი მამულები შეიძინონ.

*** გაზეთი „Рус. Вѣд.“ იუწყება: მთავრობამ უნდა განიხილოს საქმე შესახებ იმისა, რომ გლეხებს მიეცეთ საწარმოებლად მათ ნადელებში აღმოჩენილი მადნები, რადგანაც თვით მთავრობისთვის და გლეხთათვისაც უმჯობესი და სასარგებლო იქმნება თვით გლეხებმა შეიმუშავონ მადნები, ვიდრე იჯარით გასცენ ამ მადნების წარმოება.

*** 15 დეკემბერს საღამოზედ ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლით საგუტ-ბულახის სადგურზედ მიიტანეს გვამი ვიღაც უცნობის თათრისა. უფროსმა კონდუქტორმა ბაბკოვმა უთხრა ჟანდარმს, როცა 355 ვერსზედ კაზარმებთან მატარებელი გაჩერდა, ოთხი უბილეთო თათარი ვნახე მატარებელზედ და უბძანე, მატარებლიდგან ჩამოსულიყვნენ. თათრებმა ეს იწყინეს და ერთმა მათგანმა ხანჯალი იშიშვლა და შემომიტია. მეც მეტი გზა არა მქონდა თავის დასაცველად, რევოლვერი ვესროლე და მოვკალიო.

*** ამ დღეებში დიდ ძალი კახური ღვინო გაიგზავნა რუსეთში სამას ბოჩკამდე და განჯის ღვინო გაგზავნეს ტფილისიდგან ბათუმზე. ას ბოჩკამდე მარტო კახური ღვინო გაჰგზავნეს საფრანგეთში.

*** გუშინ ტფილისში ორმოც ვაგონამდე, პური და ქერი მოვიდა ბათუმიდგან რომელიც სამხედრო საპროვიანტო მაღაზიებისთვინ არის დაბარებული.

*** სომეხთა კანსისტორიამ გარდაადაწყვიტა იორდანის დროებითი ხიდის აშენება სთხოვოს ქალაქის მმართველობას. ხიდის გაკეთებას აპირობენ პაპკოვის წისქვილის ქვემოდ, სადაც მტკვრის ტოტის სიღრმე არშინზე მეტი არ არის. ამის გამო გუშინ ქალაქის ტეხნიკმა მელიქ ადამოვმა დაათვალიერა დასახელებული ალაგი და ხიდის აგებას ამ დღეებში შეუდგება.

*** ს. სურები. (გურია) პარასკევს საღამოს, ათს დეკემბერს, აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: ჩოხატაურიდგან მომავალმა ტყის მცველებმა შენიშნეს აქაური მცხოვრები ლაზარე ლომინეიშვილი, რომელსაც ყავარი მოჰქონებია. შარშანდელმა ნამამასახლისევმა, გოჯასპირ ტყაპეიძემ ჩხუბი დაუწყო და ლამობდა ყავარი წაერთმია. გლეხმა არ დაანება. გაბრაზებულმა ტყაპეიძემ გადმოიღო თოფი და ესროლა ლომინეიშილსა საბრალოს ტყვიამ ძუძუში გაუარა და იქვე უსულოდ დაეცა.

*** ს. საჯავახო: (გურია). ნოემბრის დამლევს სოფ. საჯავახოში ერთმა კვინტრაძემ ქალი მოსტაცა მეზობელ ზაქარეიშვილს და მეორე დღესვე ისევ მიჰგვარა პატრონს. მშობლებმა ბოქაულს შეატყობინეს, რომელმაც დამნაშავე სამის თავის ამხანაგით დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

—

## შეცდომის გასწორება

კვირის ნომერში, 12 დეკემბერს, დავბეჭდეთ ლექსი „თერგის ძღვენი“, ხელ-მოწერილი გრ. აბაშიძის მიერ. ეს ლექსი ლერმონტოვისაა და ჩვენ-კი შეცდომით არ მოგვიხსენებია ეს გარემოება.

## დამაკვირდი

ქალებს სიმართლეს ნუ მოსთხოვთ იმ დრომდე, ვიდრე არ მოსპობთ იმის ისე აღზრდას, რომ დარწმუნებულია: ქალის უმთავრესი დანიშნულება ცხოვრებაში ის არის, რომ კაცებს მოეწონოს.

მარია ებნერ-ეშენბახი

**

ჭეშმარიტი თავისუფლება ის არის, რომელიც კერძო სარგებლობას საზოგადო სარგებლობას უქვემდებარებს.

ბოსსუე

**

ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე ჩვენა გვგონია, რიცხვი ჩვენის წლოვანებისა, კალებისა და მტრებისა.

ბუასტი

## შემოწირულობა

ამასთანავე გიგზავნით ჩემს მიერ შეკრებილს თხუთმეტს მანათს შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად. უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდასცეთ და თქვენის გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაჰბეჭდოთ სია შემომწირველთა:

თ. ვ. ფავლენიშვილი—3 მან., ა. უზნაძე—3 მან., მ. ცისკარაშვილი—2 მან., ი. დიდებულიძე—1 მ. 50 კაპ., ი. ზურაბიშვილი—1 მ., თ. ს. ვახვახიშვილი—1 მ., კ. ყაზახიშვილი—1 მ., ა. ტერ-სარქისოვი-1 მან., ნ. რაზმაძე 50 კაპ., ბ. არუშანოვი 50 კაპ., ე. საყვარელიძე 30 კაპ. და ს. ბაბელაშვილი—20 კაპ. სულ 15 მანეთი *).

მიხეილ ცისკარაშვილი

## ქართული თეატრი

რომ იცოდეს ჩემის გულის დარდები, კომედია 2 მოქმედ., თარგ. ქ-ნ საფაროვი-აბაშიძისა.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე, კომედ. 3 მოქ., გად. ვ. გუნიასი.

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, ქართულს თეატრში ბ-ნ გედევანოვის საბენეფისოდ გამართული წარმოდგენა დაუსრულებელი ჯაჭვი იყო სიცილისა და მხიარულებისა. მართლაც ორივე პიესა იმდენად სასაცილოა და სავსე კომიზმით, რომ უტყუარს მხიარულებას იწვევს საზოგადოების შორის. კარგი უფრო ის არის, რომ ეს კომიზმი სიტყვების ხლართვაში-კი არ იხატება, არამედ თვით მომქმედთა მდგომარეობით არის შექმნილი. ამ პიესებს წუნი არაფერი დაედებოდა, „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“-ში რომ სიტყვები დამლაშებით არა ყოფილიყო ხმარებული და გადმომკეთებელს თავის თავისათვის ძალა არ დაეტანებინა სიმახვილისა და სიტყვა-მოსწრებულობის გამოსაჩენად, მით უმეტეს, რომ სიტყვა-მოსწრებულობა და ოხუჯობა მხოლოდ ყურისათვის საჩოთირო ლაპარაკში მდგომარეობდა.

ესეც არ იყოს, სადა თქმულა და გაგონილა, რომ სცენიდგან თეატრში მყოფთა შესახებ ლაპარაკი, ცუდი თუ კარგი, მოისმოდეს. ამისთანა საქციელი ხუმარა-მასხარას თუ შეჰშვენის ცირკში სადმე, ხოლო მართებულის სცენისათვის-კი საკადრისი არ არის. ამ მხრივ სასურველია, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად იქმნას დაცული ზომიერება და გადაჭარბებასა და გადამლაშებას ადგილი არა ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ ასეთი სიტყვები, სიამოვნების მაგიერ, განვითარებულს ადამიანს უკმაყოფილების გრძნობას უბადავს და ესტეტიურს სიამოვნებას უშხამავს.

ორივე პიესა ჩინებულის ანსამბლით იყო წარმოდგენილი, ცოტა ალაგ-ალაგ როლების უცოდინარობას რომ არ ეჩინა თავი. საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ მაქსიმიძის ასულმა ლამაზად ჩაატარა ორივე პიესაში თავისი როლები. ეს არტისტიქალი დიდი ხანი არ არის, რაც სცენაზედ თამაშობს, და უკვე ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა. ქ-ნი მაქსიმიძისა ნიჭს მოკლებული არ არის და თუ იმეცადინა და გულმოდგინებას არ უკლო, ეჭვი არ არის, რომ კარგი არტისტი შეიქმნება ქართულის სცენისათვის. ბ-ნს აბაშიძეს ვურჩევდით, რომ შესაფერის გრიმით გამოდიოდეს ხოლმე სცენაზედ და არა თავისის საკუთარის სახით, როგორც იგი გამოდის ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა როლებში. გრიმს სასცენო ხელოვნებაში თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს და მისი უარ-ყოფა ყოვლად შეუძლებელია.

დასასრულ დივერტისმენტში ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა საუცხოვოდ იმღერა „უეშლილია“ რუსულად. ბ-ნმა აბაშიძემ და მებენეფისემ გედევანიშვილმა სომხურის ტანისამოსით „ვაი-ვაის“ ხმაზედ სთქვეს ახალი კუპლეტები დღიურ ვარამის შესახებ.

მებენეფისეს საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება. მიართვეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი და ფულიანი პაკეთი. საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო, რაც

*) ამ ფულისა იყო 465 მ. 42 კ. შესდგა სულ 480 მ. 42 კ.

---

შესამჩნევი ნიჭი. მართალია თვით ასე დამზადებულს და ნიჭიერს მწერალსაც-კი გაუჭირდება ჩვენში საქმე, მაგრამ მაინც გაატანს როგორმე თავს ბოლომდე და იქნება ბარაქიანი კვალიც დააჩნიოს სამშობლო მწერლობის ავ-კარგიანობას. ხოლო უკეთუ ჩვენი მოღვაწე ვერც ჯეროვანად დამზადებული გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ და თან არც ძრიელი ბუნებითი ნიჭი დაჰყოლია, მაშინ იგი სწორედ განსაცდელში ჩაიგდებს თავსა, იმიტომ, რომ საასპარეზოდ გამოსვლის შემდეგ, ცოდნით იგი თითქმის ვეღარას შეიძენს, იქნება შეძენილიდამაც დაავიწყდეს ბევრი რამ, და ვერც მწერლობაში მოიპოვებს დიდს სახელს. მარტო ბედნიერ შემთხვევაში თუ გამოდგა იგი სასარგებლო მუშაკად.

**

გაითვალისწინეთ ბ-ნ ანტონ ფურცელაძის სალიტერატურო მოღვაწეობა და უეჭველად დამთანხმდებით, რომ იგი არ არის მოკლებული ღვთიურს ნაპერწკალს ნიჭისას, რომელსაც შეუძლიან სასარგებლო ზედმოქმედება იქონიოს მკითხველზედ, აღძრას მისი აზროვნობა, აატოკოს და შეათამაშოს მისნი გრძნობანი. მაგრამ ამასთანავე ჩემთან ერთად იტყვით, რომ ნიჭიერება ბ-ნ ფურცელაძისა, მისი სალიტერატურო მომზადება არ არის ისეთის ზომისა, რომ მის კალამს თავი ეჩინოს ყოველ საგანში, რომელსაც-კი ხელი მოჰკიდა ჩვენმა ავტორმა თავის ხანგრძლივს მოღვაწეობაში. პირიქით, ჩვენა ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ანტონ ფურცელაძე თავისის ნიჭით სწორედ შესამჩნევს კვალს გაავლებდა ჩვენს ლიტერატურაში, უკეთუ იგი იძულებული არ იქმნებოდა დღეს პოეტი ყოფილიყო, ხვალ არხეოლოგი, ზეგ ისტორიკოსი, მას ზეგ ბუნების მეტყველი და სხვანი. ამისთანა გადასვლგადმოსვლამ მწერლობის ერთის დარგიდამ მეორეზედ მიიტანა ის შედეგი, რომ ყოველს ნაწერს პატივცემულის მოღვაწისას აზის ბეჭედი აჩქარებისა, აზრის დაუმთავრებლობისა და ხშირად ბუნდოვანობისაც.

მოთხრობა „ჩვენებური საქმის ბოლო“ ეხლავ შეამოწმებს ჩვენს შეხედულობას ბ-ნ ანტონ ფურცელაძის ნაწერებზედ. მაგრამ ჯერ გავიხსენოთ, რაზედ არის აშენებული შინაარსი ამ მოთხრობისა.

სოფელ ნაწრეტიანში სცხოვრობს ხელმოკლე აზნაური იოთამ ნაწრეტიშვილი მეუღლითურთ ეფემიათი. ამ ცოლ-ქმარსა ჰყავს ერთად-ერთი შვილი თვრამეტის წლის გასათხოვარი ქალი კატო, უფულობისა გამო „ზავედენიის“ მესამე კლასიდამ გამოსული. კატო ლამაზი და ჯანმრთელი ქალია, უყვარს კითხვა წიგნისა, ქართული შეჰხვდება თუ რუსული. ამავე სოფელ ნაწრეტიანში სცხოვრობენ, მრავალ სხვა აზნაურ ნაწრეტიშვილთა შორის, ცოლ-ქმარნი ბაადურ და სიდონია ნაწრეტიშვილები. ბაადური შეძლებული კაცია, იგი უნივერსიტეტში ზრდის შვილს ვასოს, რომელიც ავადმყოფობის გამო დროებით თავისს სოფელში იმყოფება. პატარაობაში ვასო და კატო დაახლოვებულნი იყვნენ, ბოლოს-კი დაჰშორდნენ და იშვიათად ჰხედავდნენ ერთმანეთს. სოფლის ცხოვრებისაგან მობეზრებულ ვასოს მოაგონდება თავისი პატარაობა, გაიხსენებს კატოს და მოუნდება მისი ნახვა. ჰნახვენ და ძლიერაც მოიწონებენ ერთმანეთს. მოწონება მალე სიყვარულზედ გადავა, რადგან ვასო პატიოსან საქვეყნო აზრებით არის გატაცებული და რადგან ეს აზრები გაიტაცებენ კატოსაც. გარდა პატიოსან აზრებისა, კატოს გაეხსნება ხალისი სწავლისა. ავტორის მოწმობით, კატოს ისეთი ნიჭი გამოაჩნდა, რომ რასაც სხვა ორ-სამ წელიწადს ძლივს ისწავლიდა, იმას კატო ერთს წელს შეითვისებდა. ახალგაზდებმა მალე გაუმჟღავნეს ერთმანეთს თავიანთი სიყვარული, ამ გამჟღავნებას მოჰყვა შესაფერი ხვევნა-კოცნა და აღთქმა შეუღლებისა, იმ პირობით-კი, რომ ჯვარის წერამდე ერთად ისწავლიდნენ და ცხოვრებით-კი და-ძმურად იცხოვრებდნენ. მშობლებმა ამათი გულის პასუხი არ იცოდნენ. ექვსის თვის შემდეგ ვასო უნივერსიტეტს დაუბრუნდა, კატო-კი სოფელში დარჩა, მაგრამ რუსეთიდამ საქმროსაგან მოსდიოდა «ზოოლოგიური და ფიზიოლოგიური წიგნები“. ერთ ამ წიგნთაგანში სიდონიას შეჰხვდა წერილი ვასოსი კატოსთან. ვასო სწერდა, რომ ზაფხულში უთუოდ ჩამოვიდოდა და ჯვარს დაიწერდა კატოზედ; ამ წერილმა მოუღო ბოლო კატოს ბედნიერებას. როგორც სიდონიამ, აგრეთვე კატოს დედა ეფემიამ და მთელმა ნაწრეტიანთ გვარეულობამ გადასწყვიტეს, რომ, თუმცა ვასოსა და კატოს შორის ცხრა თაობა იყო ნათესაობისა, მათი სიყვარული მაინც ულმერთობაა და ამიტომ ჩასაქვავებელი არის კატოვო. კატოსა სცემა ეფემიამ შეუბრალებლად, ხოლო მისმა ბიძამ ზაალ ამრეზაშვილმა უცებ და ძალად ჯვარი გადასწერა თავად ილიკო კუდარიკიძეზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცოტა არ იყოს ეუცხოვა ამ ბოლოს დროს ჩვენს თეატრში საზოგადოების სიარულს ჩვეულს თვალს და რაც, ერთის მხრით ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილს უნდა მიეწეროს.

გარდახვეწილი

## წერილი ქუთაისიდამ

კვირას, 12-ს დეკემბერს, იქმნა გარდიხდილი პარაკლისი ქუთაისის ახლად აგებულ სამეურნეო სკოლის დარბაზში, ამ სკოლის დაარსების გამო. 12-ს საათზე დილით დიდძალი ხალხი მოაწყდა დარბაზს, რომელიც მშვენივრად იყო მორთული დაფნის გვირგვინებით და გრეხილებით. დაესწრნენ: ბ-ნი გუბერნიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი; ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი და სხვანი. პირველის ათს წამზე მობრძანდა დარბაზში მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და იმ წამსვე შეუდგა პარაკლისის გარდახდას. პარაკლისის დროს ჰგალობდა ხორო ახლად მიღებულ ამ სასწავლებელში შეგირდებისა, რიცხვით 36. ბ-ნ ა—ია ბენაშვილის ლოტბარობით. პარაკლისის დასასრულს ხორომ იგალობა „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“. შემდეგ ამისა მზრუნველმა ამა სამეურნეო სკოლისამ ბ-ნმა ხოჯაევმა უამბო დამსწრეთ სკოლის ისტორია; ესე იგი, ვის დაებადა ეს ბედნიერი აზრი პირველად და რა ღონისძიებაა მიღებული მთავრობისა, სამეურნეო საზოგადოებისა, თავად-აზნაურობისა და სხვათა მხრივ, რომ გაეხორციელებინათ ეს სასარგებლო სურვილი. მოკლე, მაგრამ გარკვეულ და აზრიან სიტყვებით მან დაგვისურათა, თუ რა დაბრკოლებანი გადაეღობნენ იმ საქმის განხორციელებას წინ, მაგრამ ენერგიამ და დაუღალავმა მეცადინეობამ საზოგადოებისამ და არჩეულთა კაცთა ყოველივე ესე დასძლია. დასძლია და დღეს სკოლა დაარსდა; დღეს ამ სკოლაში უკვე 36 შეგირდი სწავლობს: 16 სკოლის ხარჯით და 16 თავის საკუთარის ხარჯით. დებულების ძალით ეხლაც და შემდეგაც საერთო შეგირდთა რიცხვში $^1/_3$ უნდა იყოს თავად-აზნაურთა შვილები და $^2/_3$-კი მდაბიო წოდებისანი. ასეც არის დღეს.

შემდეგ ბ-ნ ხოჯაევისა, ბ-ნ ლ. ნ. ასათიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ნათლად დაგვისახა ის, თუ რამოდენად ძალუმი იყო საზოგადოების ყურადღება და დახმარება ამ სკოლისადმი დღემდის და რას უნდა მოელოდეს სკოლა საზოგადოებისაგან შემდეგშიც... ბ-ნმა დავით ნ. ბაქრაძემ მშვენიერად და მოხდენით შეთხზული მოხსენება წაუკითხა დამსწრეთ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ძველს დროს, ძველს კოლხიდაში მეურნეობა; რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ჩვენს წარსულ ისტორიაში, როგორც ეკონომიურის მხრით, ეგრედვე პოლიტიკურის მხრითაც და ამის გამო რა წარმატებაშიც იყო ზნეობრივი და ქონებრივი ყოფა ერისა; რა სახარბიელო საგანს შეადგენდა ჩვენის ქვეყნის საუკეთესო მეურნეობა გარეშეთა და ბარბაროსთათვის, რის გამოც მრავალი უბედურება და ვაგლახი გიმოსცადა ჩვენმა ერმა; რა გვარად შეიცვალა მისი მდინარეობა ჩვენში ამ ბოლოს დროს; რა სავალალო შედეგი მოჰყვა ამ ცვლილებას და რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ, თუ-კი მეურნეობა ჩვენში ხელ-ახლად აღორძინდება და წესიერს გზას დაადგება...

შემდეგ ამისა ყველანი იყვნენ მიწვეულნი ჩაიზე და მშვენიერ საუზმეზე, სადაც შეგირდებმა მრავალ-გვარი საამო სიმღერები სთქვეს... იქაც წარმოითქვა მშვენიერი სიტყვები, მიმართული მოწაფეთა, მასწავლებელთა და ყველა ამ საქმის მოთავეთა მიმართ... საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა... მხოლოდ ერთი ოცი, თუ ოც-და-ხუთი კაცი დარჩა სადილად სკოლაში, ამ სკოლის მმართველ ბ-ნ ორბელაძის თხოვნით, სადაც რასაკვირველია, წარმოითქვა შესაფერი სიტყვები და ექსპრომტები...

და ბოლოს არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ჩემი უკიდურესი განკვირვება იმის შესახებ, რომ ამ საამო დღესასწაულს არ დაესწრო არც ერთი წევრი პედაგოგთა, მაშინ როდესაც კვირა დღეს ყველანი მოცლილნი იყვნენ, ქუთაისში ბრძანდებოდნენ და პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ამ საქმესთან!!.

დაესწრნენ მხოლოდ სააზნაურო სკოლის უფროსი ბ-ნი ვ. რ. ყიფიანი, ამასაც-კი ამბობენ, რომ ვითომ ბ-ნ ხოჯაევს, რომელიც განაგებდა ამ დღესასწაულობის საქმეს, სააზნაურო სკოლიდამ გარდა ბ-ნ ყიფიანისა არავინ მოუწვევია, მაშინ როდესაც ყოველი სასწავლებლიდგან მოიწვიაო მასწავლებლები (თუმცა არავინ მოვიდა) და როდესაც სააზნაურო სკოლის ყველა მასწავლებლები მოწაფეთა გამოცდაზე თვით ბ-ნ ხოჯაევის თხოვნით რამდენსამე დღეს ამ სკოლაში იყვნენ და სცდებოდნენ თავიანთ საქმესაო.

მენავე

## კორესპონდენცია

**თელავი:** კარგა ხანია, რაც ხმა ისმის, რომ თელავსაც თვით-მმართველობა მალე ეღირსებაო. წინანდელ მაზრის უფროსს თ. ჩოლოყაშვილს ქალაქის დეპუტატების ამორჩევის დროს არა ერთხელ და ორჯელ შეურიღ მოქალაქეთათვის ურჩევია თვით-მართველობა ითხოვეთო, მაგრამ დღემდის თელავს არაფერი ეღირსა. დღეს ნამდვილად დადის ხმა, რომ თვით მთავრობა, მოქალაქეთა დაუკითხავად, აპირებს, თანხმად ახალ სამოქალაქო დებულებისა თელავშიაც თვით-მმართველობა დააწესოსო. თელავის მოქალაქენი-კი ეხლაც და წინადაც სულ იმასა სჩივიან, რომ თელავს ბევრი ვალი აწევს და ახალის ხარჯის გაძღოლა არ შეუძლიანო.

სწორედ გაოცებიდამ გამოდიხარ და ვერ გამოგირკვევია იმის გამო, თუ თელავს, რად უნდა ჰქონდეს ვალი? მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ უპატრონო ქალაქს განა ცოტა მამიდა-ბიძაშვილები უჩნდება? ყველას გაძღოლა უნდა! ყველა თავისკენ ითლის და აბა ვინღა შეიტკივებს თავს, ქალაქის ყოფა ასე თუ ისე გააუმჯობესოს. ქალაქის დეპუტატები? არა გვწამს! ან იმათ ხელში რა არის! იმის მეტი, რომ ყოველ დღე სამაზრო სამმართველოს მიწერ-მოწერის აღსრულებას უნდა სდიონ! ესეც რომ არ იყოს, ვინ ჩაახედებთ დეპუტატებს ქალაქის კასაში? იგი ცხრა კლიტულით არის დაკეტილი დეპუტატებისათვის. თუ როგორმე მოხდა და კასაში ფული შეცოტავდა, მაშინ-კი, დეპუტატებო, გააწერეთ, შემოიტანეთ, აკრიფეთ და სხვა ამ გვარი ბძანება ზედ ერთვის ერთმანერთსა. მერე არ იკითხავთ, რათა და რისთვის? ეს კითხვა აღკრძალულია და ამიტომ სუ...!... თელავს, რომ თვით ბუნება—ჰაერი ხელს არ უწყობდეს, მეკომურნი ან მთელი კვირაობით და თვეობით უნდა შინ დაემწყვდნენ ან არა და მუხლამდის ტალახის გუბეში უნდა ურევდენ—ისიც დღისით თუ ვინმე გაჰბედავს გარედ გამოსვლას, თორემ ღამე ღმერთმა დაგიფაროთ! ტალახში სიარულს კისერსაც სადმე წაატეხთ კუმეტ სიბნელისაგან. ქალაქს ფარნებიცა აქვს ქუჩებში, ფულიც იხარჯება ქალაქის გასანათებლად. მერე? მერე ის, რომ ქუჩის ფარნები ბჟუტვითაც არა ბჟუტავენ და ქალაქს-კი ფულს ახდევინებენ. რა ეს და რა სხვა! უწესოება, უპატრონობა, უყურადღებობა თელავში მეტის დაურიდებლობით მეფობს და თელავის მოქალაქეთ მაინც ყუის ბალიშზედ სძინავთ. წელიწადი თავდება. ახალის დეპუტატების არჩევანების დრო მოდის! სწორედ მოხერხებული დროა, რომ თელავის მოქალაქეთ ყურიდამ ბამბა გამოიძრონ და თავიანთ თავზე იზრუნონ.

შეიძლება პირველში ახალმა საქმემ ახალი ხარჯი გამოიწვიოს, მაგრამ წესიერად საქმის მსვლელობა ყველას აინაზღაურებს და ათას-გვარ ნაკლულევანება-უწესოებას ბოლოს მოუღებს.

ი. კახელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ამას წინად იურისტთა მიერ გამართულ დღესასწაულის გამო გაზეთი „Гражд.“-ი ძლიერა ჰკიცხავს იურისტებს:

სამწუხაროა, ამბობს ეს გაზეთი, როცა ჰხედავ, როგორ არ უყვარს ხალხს იურისტები მათის ამაყობისა და სიმკაცრის გამო; გვწყინს, როცა ვხედავთ, რომ იურისტებმა ასე შეამცირეს ღირსება სასამართლოსი და თავიანთ თავის კასტურის ნაკლულევანებათა და ზნე-ჩვეულებებით, მაშინ, როდესაც მათ შეეძლოთ სასამართლო შეეყვარებინათ ხალხისთვის. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სიმშვიდე და კაცთ მოყვარეობა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** სენატს განზრახვა აქვს შემდეგი ღონისძიებანი იხმაროს ანარხისტთა წინააღმდეგ, რომ სენატში ბოროტ-მოქმედება ვერ მოახდინონ. თუ ვინიცობაა სენატის დარბაზში მცირეოდენი ჩოჩქოლი ასტყდა, ადმინისტრაციის მოხელენი ვალდებულნი არიან წამსვე ყველა კარები დაჰკეტონ და თვალ-ყური ადევნონ, რომ სენატიდგან ვერავინ გავიდეს და თუ საჭირო იქმნება, ძალასაც მიჰმართონ. რათა მცირეოდენის ჩოჩქოლის გამო მოხელეთ შეეძლოთ ყოველგვარი ღონისძიებანი იხმარონ, სენატში მრავალი ელექტრონის ზარი იქმნება გამართული. ტრიბუნების კარები ისე იქმნება გამართული, რომ შიგნიდგან არ იღებოდეს. თითოეულ კარებთან კარის კაცი იქმნება დაყენებული. ვინც ტრიბუნებიდგან გამოსვლას მოისურვებს, ეს სურვილი ელექტრონის ზარის რეკით უნდა გამოაცხადოს. სენატის კრებაზედ დამსწრეთ პალტოები უეჭველად დერეფანში უნდა დასტოვონ.

—

**ავსტრია.** 13 დეკემბერს განიგრძნო კამათობა იმ საგანგებო კანონთა შესახებ, რომელიც მიღებული უნდა იქმნას პრაგისა და მის მიდამოების მცხოვრებთათვის. გერმანელ მემარცხენათა სახელით ლაპარაკობდა კოპპი. ორატორმა ჯერ თვისი მწუხარება გამოაცხადა იმის გამო, რომ ლიბერალები იძულებულნი არიან შეიწყნარონ კანონ-პროექტი ახალჩეხთა წინააღმდეგ. კოპპიმ გრეგრის სიტყვა გამოიყენა. თუ საქმე ისე არისო, სთქვა კოპპემ, როგორც გრეგრი ამტკიცებს, მაშ მოცდა საჭირო აღარ არის. საგანგებო ღონისძიებანი აუცილებლად საჭიროა იქ, სადაც ამბობენ: ჩვენ ავსტრიას არ ვიცნობთ, ვიცნობთ მხოლოდ ჩვენს მამულს. დამოუკიდებელი ჩეხიის სამეფო არ მოთავსდება ავსტრიის ჩარჩოში. თვით ჩეხები ავსტრიის დუალიზმს მახინჯს ეძახიან და ეს მახინჯი არ გალამაზდება მით, რომ ორის თავის მაგიერად სამი ან კიდევ მეტი თავი გამოება. ორატორისთვის ავსტრია ცალიერი სიტყვა არ არის. მას კარგად ეყურება ავსტრიის პატრიოტი-

---

თავადი კუდარიკიძე სრულებით ქაბუკი მოქეიფე ყმაწვილია. ძრიელ ცოტახანს სცხოვრობს იგი ახალგაზდა ცოლთან, მერე-კი გასწევს ტფილისს, გაჰყვება ქეიფებსა და ბოლოს ჩაუვარდება ხელში ერთს მიკიტანს... ზიზღით ვერ გაგვიმეორებია, რა ადგილს დაიჭერინებს ავტორი ახალგაზდა თავადიშვილს გარყვნილ მიკიტანთან, ხოლო ამას-კი ვიტყვით, რომ ილიკოს ცუდი სენი შეჰხვდება, მიკიტანი დაითხოვს და გაისტუმრებს სოფელში, სადაც იმავ სენით ავად გახდება ილიკოს ცოლი კატო ძუძუთა ვაჟით ერთად...

კატო ძრიელ დაიტანჯა ავადმყოფობისაგან. ზნეობრივი ტანჯვა მისი უფრო საშინელი იყო. ბოლოს მოუკვდა ვაჟი, მისი ერთად-ერთი ნუგეში, თითონ დაიფქვა სენისაგან და საშინლად დამახინჯდა. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა რუსეთიდამ ვასო თავისის ცოლით. კატო მათს დანახვაზედ შეიმალა ჰკუიდამ, ხოლო „ვასილმა ჩაიღო მუჭებში თავი და ერეოდა გული სატირლათაო“—გვეუბნება.

**

ეს გახლავთ ძნელად გადმოსაცემი შინაარსი ბ-ნ ფურცელაძის მოთხრობისა. ყმაწვილობაშიც წაგვიკითხავს ეს მოთხრობა და ეხლაც, ოცის წლის შემდეგ, ძლიერ გულდასმით წავიკითხეთ, მაგრამ მაინც ვერც მაშინ და ვერც დღეს ვერ შევიტყეთ მიზეზი, რათა ჰქვიან ამ მოთხრობას „ჩვენებური საქმის ბოლო“? თქვენ მეტყვით—სახელი რაც უნდა ერქვას, ოღონდ შიგ ეყაროს რამეო. მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ წიგნის სახელი სწორედ იმას ასახელებს ხოლმე, რაც-კი რამ თვით წიგნში ჰყრია. ნუ თუ ჩვენებური საქმის ბოლო ეგ არის, რომ ქართველი სტუდენტი შეიყვარებს შორეულ ნათესავს ქალსა, შეუდგება მის განათლებას, ცრუ-მორწმუნე სახლიკაცები ჩაჰშლიან მათს ქორწილს და ძალად ჯვარს დასწერენ ქალს ვისზედმე სხვაზე, რომელიც ცუდის სენით მოიდნობს განათლების მაძიებელ ქალსა? სად გაგვიგონიათ ასეთი ამბავი? გინდა კიდეც გაგვეგონოთ ერთი ან ორი ამისთანა ამბავი, ნუ თუ შეგვიძლიანთ „ჩვენებური“ დაუძახოთ მაგ ამბავს. „ჩვენებური“ ყველას ისე გვესმის, როგორც ქართული, ე. ი. ხასიათი, ზნე, ჩვეულება, შეხედულობა, საქციელი, გულის პასუხი, მისწრაფება და ყოველივე, რაც-კი შეადგენს ადამიანის ზნეობრივს და სულიერს აგებულებას, ყოველივე თავიდამ ბოლომდე ქართულია, ისეთის იერისაა, რომლითაც ქართველი განირჩევა რუსისაგან, ფრანგისაგან და სხვანი. აღნიშნული ამბავი-კი ისეთი წარმოუდგენელია, ისეთი შეუფერებელია ჩვენის ცხოვრებისა, რომ ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე მის სინამდვილეს. ასეთი განსაკუთრებული ამბავი ბიოგრაფიადაც ძლივს გამოდგება, არა თუ მოთხრობის საგნად აიღოს ბელეტრისტმა, რომელსაც შეუგნია, რაში მდგომარეობს უმთავრესი ღირსება მოთხრობის მწერალისა.

სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს ჩამოვთვალოთ ამ ძირითად ნაკლთან ყველა სხვა ნაკლიც ბ-ნ ფურცელაძის მოთხრობისა. რაიცა შეეხება ღირსებას, რომელიც სჩვევია ჩვენს ავტორს, ეგ გახლავთ გადაჭარბებული ფანტაზია ამ ფანტაზიასთან ავტორს რომ ჰქონოდა შესაფერი მოცალეობა და თავისუფლება და გარემოებასაც ხელი შეეწყო, მაშინ საიმედოა, იგი არ შესტოპავდა ისეთს ჭაობებში, საიდამაც სუბთად გამოსვლა ერთობ-და-ერთობ ძნელია. ცალკე სურათები-კი ამ მოთხრობისა მომეტებულ ნაწილად კარგი რამ არის და სიამოვნებითაც იკითხება, მეტადრე ხელოვნურად არის დახატული სოფრონ ნაწრეტიშვილი, მოსისხლე მტერი სოფლის ძაღლებისა.

არ შეგვიძლიან შეუნიშნავად დავტოვოთ ავტორის ხალისი მომქმედთა პირთა მონათვლისა უცნაურის სახელებით: ბესარიონ ვარგისაშვილი, ნაწრეტიშვილები იოთამ, ბაადურ, სოფრონ, სარიდანი, კუდარიკიძე კირიზელიაშვილი, ამრეზაშვილი, თუთალა, ზალიხან, ანუსი, სასო, თითია და სხვანი. თითქო ურიების სოფელში შესულხარო.

რაიცა შეეხება ქართულს ენას, ჩვენ მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ მოთხრობიდამ და გთხოვთ გაიგოთ, რას ამბობს ავტორი.

„რუსული სწავლის მეტი ჯერ საზოგადოებას კატოს და ვასილში არა აღელვებდა-რა. ისინი სხვა რასმე გუნებაშიაც ვერ გაივლებდნენ, რადგან ნათესაობა კატოსი და ვასილისა არ აძლევდა ამათ მიზეზს სხვაფრივ ამათის გაკილვისას.“ (გვერ. 47-48).

„მეორეს დღეს ჩუმათ ვაფრინე კატოს წიგნი ვასილთან ფოჩტითა, რომელიც მე თითონ ჩავიტანე ფოჩტაში (ფოჩტით ფოჩტა ჩაუტანია!) გვერ. 63.

„ის მუდამ ამოგანგლული ბუნბულებ'ა და ბურტყლებში ტანისამოსით ლოგინში გდებისაგან თავის ერთ ჯურღუმულ ოთახში, რომელიც აქამდინ საკუჭნაოთ ჰქონდათ ამათ, კარგა გძელის თმით, რომელიც გარშემო კინკრიხისა ქოჩორი ქვეშ ჰქონდა გამოპარსული, იმერულის გძელის გაწკეპილის ინით შეღებილის ულვაშებით,—ეძებდა ყოველს მარჯვე შემთხვევას ვისთანმე გაბაასებისას და ემუსაიფებოდა ყოველს გამვლელ-გამომვლელს.“ (გვერ. 13).

ნიმუშად ბ-ნ ფურცელაძის ენის უსწორ-მასწორობისა ესეცა კმარა.

სტ. ჭრელაშვილი

ზმი და კარგად იცის, რისთვისაც დაღვრის სისხლს გაჭირვების დროსა.

კოპპი ამტკიცებს, ის გზა, რომელსაც ჩეხები ადგანან, კარგი არ არისო. ჩეხიას მხოლოდ ორი გზა დარჩენია: ანუ სრული თავისუფლება ავსტრიისაგან და მაშასადამე სრული განცალკევება, ან არა და ჩეხია უნდა იყოს ისეთივე პატივცემული და თავისუფალი პროვინცია, როგორიც აქამდე იყო.

—

78 კაცს დასდეს ბრალი ჩეხის საპოლიტიკო «ომლადინას“ საზოგადოებას ეკუთვნითო. ამათში 4 მწერალია, 3 სტუდენტი, 1 ვექილის თანაშემწე. დანარჩენნი ხელოსნები და ვაჭრები არიან.

—

**პოლონია.** ეხლა ეჭვი აღარ არის, რომ პოზნანისა და ბრომბერგის ოლქების სკოლებში პოლონურ ენის სწავლება სავალდებულო იქმნება. მთავრობა დარწმუნდა, რომ სამღვთო ენის სწავლება პოლონურ ენაზედ სრულიად უსარგებლო იქმნება, თუ თვით პოლონურ ენის სწავლებაც არ შემოიღეს სკოლებში. რაც შეეხება იმას, რომ 1891 წელს პოლონურ სკოლებში კერძოდ იქმნას შემოღებული პოლონურ ენის სწავლება, ეს ღონისძიება სასარგებლოდ არ იქმნა აღიარებული და ამიტომ ამიერიდგან ოფიციალურად უნდა იქმნეს შემოღებული ამ ენის სწავლება.

„Berliner Tageblatt› ამბობს, საჭიროა ამ საქმის შესახებ მთავრობამ თავისი აზრი გამოთქვას ოფიციალურ გაზეთის შემწეობითაო.

—

**გერმანია.** თავად ბისმარკის ჯანმრთელობის შესახებ სანუგეშო ამბავს არ იცნობება „Mémorial Diplomatique“. ამ გაზეთის სიტყვით, ბისმარკი ლოგინიდგან აღარა დგება და ხშირად აციებ-აცხელებს. მისნი მახლობელნი ყოველსავე საშუალებასა ჰხმარობენ, რომ მისის ავადმყოფობის ამბავი საზოგადოებაში არ გავრცელდეს. ფრიდრიხს რუეში აღარავის უშვებენ. ექიმი შვენნიგერი დიდად აღშფოთებულია ბისმარკის ავადმყოფობით. თავ. ბისმარკის მდივანი ხრიზანდერი ამ ჟამად ბისმარკის საპოლიტიკო ანდერძის წერილსა სწერს. რაც შეეხება იმის მემუარებს, მემუარები მხოლოდ ბისმარკის სიკვდილის შემდეგ იქმნება გამოცემული. იმათი დაბეჭდვა ლონდონში გრაფ გერბერტმა იკისრა.

—

**იტალია.** იტალიაში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ლაპარაკი კრისპის კვლავ დაბრუნდების გამო. ამ ამბავს გაზეთები სხვა-და-სხვა ნაირად სჯიან. მაგალითებრ, გაზ. „Mémorial Diplomatique“-ს რომის კორესპოდენტი ამბობს: „რომის საპარლამენტო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ როცა პირველად მოვიდა კრისპი მეფე ჰუმბერტთან, განუცხადა, რომ მე ვიკისრებ კომიტეტის შედგენას, თუ შეძლებას მომცემთ, ვინიცობაა საჭირო შეიქმნეს, პალატა დავითხოვოო. მეფემ ამის გამო სჯა იქონია წარჩინებულ კაცებთან, დასთანხმდა კრისპის და ეხლა მთავარ-მინისტრს ისე შეუძლიან მოიქცეს, როგორც თითონ დაინახავს საჭიროდ და ქვეყნის სასარგებლოდაო.

---

## გასართობი

—

ტომას მორთან მივიდა რამდენიმე კაცი და შესჩივლეს, მიშველეთ რამე, დაგვიფარეთ, ჯიბგირებმა ილაჯი გაგვიწყვიტესო. მორისის მოხუცმა თანაშემწემ თანაგრძნობის მაგიერ ამ მთხოვნელთ საყვედური გამოუცხადა, თქვენი ბრალია, რომ ფულს გაცლიან ჯიბგირები, გაფრთხილდით და ვერავინ ველარ ამოგაცლით ფულსაო. მორმა ამაზედ ხმაც არ ამოიღო და უთხრა მთხოვნელთ, ხვალ მოდით და თქვენს საქმეს განვიხილავთო. საღამოთი დაიბარა ერთი ჯიბგირი და უთხრა, ხვალ საქმის განხილვის დროს ჩემს თანაშემწეს ჯიბიდგან ფულის ქისა ამოაცალეო. ჯიბგირიც დაჰპირდა. მეორე დღეს დაიწყეს თუ არა საქმის განხილვა, მორმა ჰკითხა იმ ჯიბგირს, აბა რას იტყვი თავის გასამართლებელსაო. ჯიბგირმა უპასუხა, ჯერ ნება მიბოძეთ ყურში ორიოდე სიტყვა ვუთხრა თქვენს თანაშემწესაო. მივიდა თანაშემწესთან, ყურში რაღაც უჩურჩულა და ჯიბიდგან ქისა ამოაცალა. შემდეგ ტომას მორმა გამოაცხადა, ერთ დაპატიმრებულთაგანისთვის ცოტა ფული უნდა შევაგროვოთო. ამოიღო თითონ ფული და თავის თანაშემწეს სთხოვა, თქვენც შესწირეთ რამეო. თანაშემწემ ჯიბისკენ ხელი იკრა და ჯიბე მოჭრილი დაუხვდა. მხოლოდ მაშინ ინანა, გუშინ რად გავკიცხე ის მთხოვნელნიო.

**

ჰერცოგს გიზს ძლიერ ლამაზი ცოლი ჰყავდა და ამბობდნენ, ვითომ სასახლის ერთს მოხელეს სენ-მორენს ჰყვარობდაო. ერთხელ დედოფალმა მეჯლისი გამართა. ქ-ნმა გიზმა მოინდომა ამ მეჯლისზედ წასვლა. ქმარმა უთხრა, მე მჯერა შენი ერთგულება, მაგრამ ხალხში დიდი ჭორებია გავრცელებული და ამიტომ გთხოვ, ნუ წახვალ მეჯლისში. ცოლმა თავისი არ დაიშალა და მაინც წავიდა. მეჯლისიდგან დილის ექვს საათზედ დაბრუნდა. ჰერცოგი შევიდა მის ოთახში, თან შეიტანა ერთი ჭიქა ღვინო და უბრძანა, ეს ღვინო ამ წუთას უნდა დალიოვო. ცოლს ძლიერ შეეშინდა, სწორედ საწამლავიაო, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედა, ღვინო დალია და მხოლოდ იმასღა ევედრებოდა ქმარს, მოძღვარი მომგვარეთ, უნდა ვეზიაროვო. ქმარმა მარტო დატოვა ცოლი და კარები გამოუკეტა. სამის საათის შემდეგ შევიდა და უთხრა: დიდად ვსწუხვარ, რომ წუხანდელი ღამე უსიამოვნოდ გაატარეთ. თქვენ მარტო შიშით გადარჩით. იმედი მაქვს, რომ მეც შიშის მეტი არავითარი უბედურება ჯერ არ მწვევია. მაშ ამიერიდგან ერთმანერთს ნუღარ შევაშინებთ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

გაზეთ „Times“ ის პარიზელი კორესპონდენტი ამბობს, რომ 4 დეკემბერს სარა ბერნარმა შესანიშნავად წარმოადგინა მ. რგარიტა გოტიეს როლი დიუმას პიესა „Dame aux Camelias“-შიო. ამას წინად-კი არა ნაკლებ ნიჭით ითამაშა ფედრის როლი რენესანსის თეატრი. ამ არტისტს ქალს თითქოს ის უნდა დაემტკიცოს ზოგიერთ მის მკ[...]ავთა წინააღმდეგ, რომ ჩემის ქვეყნის გარშემო მოგზაურობის დროს გსწავლ[...]ი და ქალა უფრო სავსებითა და მკუდარებლად შემიძლიან სხვა-და-სხვა როლების თამაშობაო.

## გამოსადეგი ცნობა

—

დანები, ვერცხლის კოვზები და სხვა ლითონის ნივთები ძლიერ შავდება სიმჟავისაგან და ძნელად იწმინდება. ეს სიშავე ადვილად მოშორდება ლითონის ნივთს შემდეგის წამლით: აიღეთ ასი ნაწილი წყალი და შიგ გახსენით ხუთი ნაწილი სოდა და წამლით გარეცხეთ სიმჟავით გაშავებული ლითონის ნივთი და შემდეგ მშრალის ტილოთი გაწმინდეთ. ლითონს სიშავე ჩამოეცლება და ისევ თავისი ელვარება მიეცემა.

---

# დეპეშა

15 დეკემბერი

**სოფია.** საერო კრებამ დაამტკიცა მთავრობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნას 40,000 ფრანკი ბოლგარიის მთავარის განსვენებულის ალექსანდრე გარტენაუს ქვრივისა და შვილების პენსიისთვის.

**მადრიდი.** დღეს დაიწყება გარჩევა იმ ანარხისტთა საქმისა, რომელთაც შარშან განიზრახეს დეპუტატთა პალატის აფეთქება.

**ბარცელონა.** «Laceo“-ს თეატრში ყუმბარების აფეთქების ზოგიერთი დამნაშავენი გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულში.

16 დეკემბერი

**პეტერბურგი.** წერა-კითხვის კომიტეტის საზოგადო კრებამ გადასწყვიტა: დაარსებულ იქმნას მომავალ წ. 100 უფასო საერო სამკითხველო, ერობათა დახმარებით, სულ 25,000. ამ საქმისთვის საჭირო ფულის შესაკრებად კომიტეტი მიიღებს შემოწირულობას ხელის მოწერით. თავის საკუთარ ფულიდგან-კი კომიტეტმა გადასდო 2,000 მანათი.

**ყაზანი.** დღეს დილით მოსკოვიდგან სადგურ სვიაჟსკში მივიდა პირველი სახალხო მატარებელი.

# განცხადებანი

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## ჯეჯილი

(წელიწადი მეოთხე)

გამოვა 1894 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში „ჯეჯილის“ რედაქციაში Водовозная № 22. дом Айвазова.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მანეთი.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 70 კაპ., ხოლო სხვა გალაქებში— 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

—

## გამოსადეგ ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

უ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის იმავე პროგრამით

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით რვა მანეთი. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბაზათ.

### ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა უნდა მიიქცენ „კვალის“ რედაქციაში Тифлисъ, Редакція „Квали“, Большая Водовозная № 22, домъ Айвазова. (3—1)

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 1 6.

---

# დონნერ და ლეიტცი

## ფირმის მაღაზია

### სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა

მივიღეთ:

მატყლის ქსოვილი საბნები, პლედები, შალები. ნორმალური ფუფაიკები, ჩულქები, წინდები, საჰიგიენო ფუფაიკები crêpe de santè და სხვ. დიდ-მალი მატყლის ქსოვილი საბნები დაწესებულებათათვის, სულ იაფ ფასიდგან დაწყობილი. მსურველთ პრეისკურანტი უსასყიდლოდ გაეგზავნებათ.

2802104—101

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Декабря 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე